ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 4

2016 წ. "18" 02

ქ.თბილისი

შპს სკოლა-ნიკესთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.შპს სკოლა-ნიკეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 24556300) უარი ეთქვას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 თებერვლის №1 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

2.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე